ტბელთა ფეოდალური სახლის საეკლესიო აღმშენებლობა X ს-ში

გიორგი მძინარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თეიმურაზ ჯოჯუა, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის

დეკანს ნინო მიროტაძეს

ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების

მაგისტრანტის გიორგი მძინარაშვილი

განაცხადი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი მძინარაშვილი

2022

აბსტრაქტი

ჩემი სამაგისტრო თემის, მიზანია ისტორიულ-წყაროდმცოდნეობითი კუთხით შევისწავლო ტბელთა ფეოდალური სახლის მიერ მე-10 საუკუნეში ჩატარებულ საეკლესიო აღმშენებლობასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.
ნაშრომში განხილული მაქვს შემდეგი საკითხები: ტბელთა ფეოდალური სახლის ისტორია, ტბელებთან დაკავშირებული ეკლესია-მონასტრების ქრონოლოგია, ამ ტაძრების გეოგრაფიული მდებარეობა და არქიტექტურული ტიპები, აგრეთვე ის საკითხი თუ რომელი წმინდანის სახელზე იყო აგებული ეს ეკლესია-მონასტრები. გარდა ამისა განხილულია ტბელთა ფეოდალური სახლის გენეალოგიის საკითხები.
ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საქართველოსა და უცხოეთში გამოვლენილ ლაპიდარულ წარწერებს, აგრეთვე საისტორიო-ნარატიულ თხზულებებსა და ისტორიულ დოკუმენტებში დაცულ ცნობებს. აგრეთვე გათვალისწინებულია წინამორბედ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები.

დღეისათვის გამოქვეყნებულია რამდენიმე სამეცნიერო თემა, რომლებშიც განხილულია ტბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელთა მიერ ცალკეული ეკლესია-მონასტრების, აგება-განახლებასთან დაკავშირებული საკითხები. თუმცა არ არსებობს ნაშრომი, რომელშიც ტბელთა მიერ წარმოებული საეკლესიო აღმშენებლობა სრული სახით იქნება შესწავლილი. ჩემი სამაგისტრო თემაც სწორედ ამ საკითხების ერთად თავმოყრას და განხილვას ისახავს მიზნად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ერედვი, დოდოთი, ტბეთი, ბორცვისჯვარი, წორბისი, კლდეისი, ტბელი, ივანე, კონსტანტინე, ქავთარი, სპანდაღუდი, ეკლესია, მონასტერი, უფალი, ერისთავი, წინამძღვარი.

Abstract

My master thesis is an attempt to study the ecclesiastical reconstruction of the feudal house of Tbel in the 10th century. Let us consider the motives for founding these churches and monasteries, in whose name the Tbelis built these churches, and what care was taken in their direction.

The paper is mainly based on the researches of scholars who have already studied the mentioned churches, registration records, inscriptions and analysis of several sources.

In the paper I have discussed the following issues: the history of the feudal house of the Tbelis, the chronology of the churches-monasteries in which they are mentioned. As well as the geography and architectural types of these churches. See also in the name of which saint the churches were built. A chronological order of the genealogy of the feudal house of the Tbelis, according to the persons named in the inscriptions of the churches.

There are several scholarly works that discuss the relationship between the Tbel feudal house and some churches, but my work is also an attempt to provide information to interested parties about the Tbel house and all the churches or monasteries in which they are mentioned and we have information on the day. I think my paper will offer various observations to those interested in this issue.

The kay words: Eredvi, Dodoti, Tbeti, Tsorbisi, Kldeisi, Tbeli, Ivane, Konstantine, Qavtari, Spandagudi, church, monaster

მადლობა

ავტორის განსაკუთრებული მადლობა ხელმძღვანელს - პროფესორ თეიმურაზ ჯოჯუას, ამ თემაზე მუშაობის დაწყების იდეის შემოთავაზებისთვის. ასევე მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებს, რომლებმაც ჩემი სამაგისტროს სწავლის პროცესი გაამრავალფეროვნეს და მეტად საინტერესო გახადეს სასწავლო გარემო. მათი მონდომება და პროფესიონალიზმი ნამდვილად დასაფასებელია.